ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3738719

ნომერი: AR1559833

თარიღი : 28.11.2017

გაცემის თარიღი : 15.12.2017

გაცნობის თარიღი : 15.12.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ჭავჭავაძე , N 5ა , (ნაკვ.11/048) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლალი კახიძე პ/ნ 01006000539
- ქ.თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზირი #17

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ნიკოლოზ კამკამიძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ლალი კახიძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01006000539

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 3230952

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 4.04.2019

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების და „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს N8-13 გადაწყვეტილების თანახმად.

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 2007 წლის 29 ოქტომბერს ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. №5ა-ში, მოქ. ლალი კახიძის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გაიცა №ნ/997 მშენებლობის ნებართვა და №ნ/997-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2009 წლის 1 ნოემბრამდე. ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2009 წლის 15 სექტემბერს №2815 ბრძანებით მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადა გაგრძელდა 2012 წლის 1 ნოემბრამდე, ხოლო 2011 წლის 13 დეკემბერის №01/3379 ბრძანებით შეთანხმდა კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. 12.09.2012 წლის №344735 ბრძანებით კვლავ გაგრძელდა 2007 წლის 29 ოქტომბერს №ნ/997 ბრძანებით გაცემული მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადა 2014 წლის 1 მაისის ჩათვლით. 09.06.2014 წლის №1318424 ბრძანებით მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე (2011 წლის 13 დეკემბერის №01/3379 ბრძანება) გაიცა მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 09 ივნისიდან 2015 წლის 09 დეკემბრის ჩათვლით. აღნიშნულის შემდგომ 11.12.2015 წლის №2338391 და 28.04.2017 წლის №3230952 ბრძანებებით კვალავ გაგრძელდა მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადა და საბოლოოდ განისაზღვრა 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-104 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების მიხედვით, სამსახურის ერთ-ერთი ფუნქციაა არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვის გაცემა და კანონმდებლობით დადგენილი წესით, მათში ცვლილებების შეტანა. მშენებლობის ნებართვის გაცემის, ასევე მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების წესი და პირობები რეგულირებულია "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის №57 დადგენილებით. დასახელებული დადგენილების 57-ე მუხლის მიხედვით, მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ სამშენებლო ობიექტზე არ არის განხორციელებული ისეთი სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც ამ დადგენილების შესაბამისად საჭიროებენ მშენებლობის ახალ ნებართვას. მშენებლობის ნებართვის გაგრძელების საკითხზე ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო მსჯელობს ყველა ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოების გათვალსწინებით და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. ამასთან, ამავე დადგენილების 57-ე მუხლის მიხედვით, მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელებისათვის დამკვეთი ვალდებულია ნებართვის გამცემ ორაგნოს წარუდგინოს დარჩენილი სამუშაოების მშენებლობის ორგანიზების პროექტი და მშენებლობის დასამთავრებლად მოთხოვნილი გონივრული ვადა. რის შემდეგაც ნებართვის გამცემი ორგანოს მისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების გათვალისწინებით აფასებს დამკვეთის მიერ ნებართვის ვადის გასაგრძელებლად მოთხოვნილი ვადის მიზანშეწონილობას და იღებს გადაწყვეტილებას ნებართვის ვადის გაგრძელების/ ვადის გაგრძელებაზე უარის თქმის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადა გაგრძელდა რამდენიმეჯერ, დღეისათვის, დამკვეთის მიერ სამშენებლო სამუშაოები დაწყებული არ არის. ასევე, დამკვეთს ევალება, რომ ნებართვის ვადის გაგრძელებისთვის ნებართვის გამცემ ორგანოს წარუდგინოს დარჩენილი სამუშაოების მშენებლობის ორგანიზების პროექტი, თუმცა ამ შემთხვევაში დამკვეთს სამშენებლო სამუშაოები არ განუხორციელებია და მის მიერ წარმოდეგნილია არა დარჩენილი არამედ სრული სამუშაოების მშენებლობის ორგანიზების პროექტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მიიჩნევს რომ ვადის გაგრძლების თაობაზე №AR1559833 განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ

მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.